პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 186 (9654) | შაბათი, 8 აგვისტო, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

მასების პოლიტიკური აღზრდა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა — **მოწინავე** (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები. საინფორმაციო ცნობები კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს 1953 წლის 7 აგვისტოს სხდომების შესახებ (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ა. მ. პუზანოვისა** და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ი. გ. კებინის** მოხსენებები (1-ლი გვერდი).

ეროვნებათა საბჭოში. ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ი. ა. ხოხლოვის** თანამოხსენება სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის [illegible] 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ (მე-2 გვერდი).

კავშირის საბჭოში. კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ლ. რ. კორნიეცის** თანამოხსენება სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1951 წლის და 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ (მე-3 გვერდი).

6 აგვისტოს კრემლში (მე-4 გვერდი).

მასების პოლიტიკური აღზრდა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა

კომუნისტური პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა ხალხის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას. იგი სისტემატურად ამაღლებს მასების შეგნებულობის დონეს, რაზმავს მათ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის განხორციელებისათვის, სსრ კავშირის განვითარების გეგმების შესრულებისათვის.

პარტიის XIX ყრილობის შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ერთგვარად გააძლიერეს მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

მასების მოთხოვნილება კარგ ლექციებსა და მოხსენებებზე სულ უფრო და უფრო იზრდება. მაგრამ პარტიის მთელი რიგი საოლქო და რაიონული კომიტეტები ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. პარტიის სამტრედიის, გეგეჭკორის, ყაზბეგის, კაჭრეთის და სხვა რაიკომები მშრომელთათვის ლექციებისა და მოხსენებების მოწყობის აშკარა შეუფასებლობას იჩენენ, უგულებელყოფენ მასების პოლიტიკური აღზრდის საქმეს, ივიწყებენ, რომ პარტიული კომიტეტები, პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ყოველდღიურად ზრდიდნენ მასებს, ღრმად აცნობდნენ მათ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას, რაზმავდნენ თვითეულ მშრომელს აქტიური შემოქმედებისათვის. სამხრეთ ოსეთის პარტიულ ორგანიზაციებში წლების მანძილზე ჩაშლილი იყო საგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობა, საოლქო კომიტეტისა და რაიონული კომიტეტების მდივნები მოწყვეტილი იყვნენ მასებს, არ გამოდიოდნენ მათ წინაშე ლექციებითა და მოხსენებებით, არ ეცნობოდნენ და ხშირ შემთხვევაში ყურადღებას არ აქცევდნენ მუშებისა და კოლმეურნეების კანონიერ მოთხოვნებს. სწორედ მასებში პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტების შედეგად სამხრეთ ოსეთში წლების მანძილზე არ სრულდება საწარმოო გეგმები, მთელ რიგ კოლმეურნეობებში ძალიან შესუსტდა შრომის დისციპლინა, დაეცა ზოგიერთი კოლმეურნეობის შემოსავლიანობა.

აქ მასების პოლიტიკურად აღზრდის ნაკადი მეთოდი შეცვლილი იყო უხეში ადმინისტრირებით, ერთპიროვნული განკარგულებებით, კოლექტიური აზრის ჩახშობით, რაც კიდევ უფრო აუარესებდა მდგომარეობას.

ივლისში ჩატარებულმა პარტიული კომიტეტების პლენუმებმა, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებმა, აგრეთვე მუშების, კოლმეურნეების და ინტელიგენციის საერთო კრებებმა, რომლებიც მიძღვნილი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებისადმი, ცხადყვეს დიდი ჩამორჩენა მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილება გვავალებს ჩვენი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მთელი ძალა მივმართოთ იმისაკენ, რომ ღრმად ვაცნობდეთ თვითეულ შრომელს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიად მძღვრებას.

აუცილებელია მივაღწიოთ იმას, რომ ლექციები და მოხსენებები იკითხებოდეს მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე და უშუალოდ დაკავშირებული იყოს კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკასთან. ჩვენი პროპაგანდისტები, მომხსენებლები და აგიტატორები მთელი ხმით უნდა ლაპარაკობდნენ იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე, რაზმავდნენ მასებს ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, უნერგავდნენ მათ თვითკრიტიკის და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკის კიდევ უფრო გაძლიერების აუცილებლობის შეგნებას.

ჩვენი ლექციები, მოხსენებები, საუბრები ღრმად უნდა განუმარტავდეს პარტიულ მასებს, ყველა მშრომელს, რომ პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ძალა მის კოლექტიურობაში, დარაზმულობასა და ერთიანობაშია, რომ ხელმძღვანელობის უმაღლეს პრინციპს წარმოადგენს მისი კოლექტიურობა. ულმობლად უნდა ვებრძოლოთ პიროვნების კულტს, პიროვნების წინაშე იდეალისტურ ქედმოხრას, რაც განსაკუთრებით გავრცელებული იყო საქართველოში და ბოჭავდა მასების ინიციატივას, აქტივობასა და შემოქმედებას, ხელს უწყობდა ქედმაღლობას და ყოყოჩობას, მლიქვნელობას, პირმოთნეობასა და უსაქმურობას. ჩვენი პროპაგანდა და აგიტაცია სისტემატურად უნდა განუმარტავდეს მშრომელებს, რომ კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობის უმაღლეს კანონს წარმოადგენს ხალხისათვის ზრუნვა, მის განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამჟამად მიმდინარე მეხუთე სესიის მიერ დამტკიცებული 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულება ხელს შეუწყობს ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის განუხრელ ამაღლებას, ახალ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში.

პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველაზე პასუხსაგები და სპატიო ამოცანაა ღრმად შევასწავლოთ ყველა მშრომელს თეზისები „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903-1953)“, გავაცნოთ მასებს კომუნისტური პარტიის მიერ განვლილი გმირული ბრძოლებისა და გამარჯვებების სახელოვანი გზა, ვუჩვენოთ მასებს კომუნისტური პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელისა და წარმმართველის, როლი, ხალხის მასების, როგორც ისტორიის შემოქმედის, როლი.

ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა განვუმარტავდეთ მასებს, რომ რაც უფრო დიდია კომუნიზმის მშენებლობის წარმატებანი ჩვენს ქვეყანაში, და, მაშასადამე, რაც უფრო უმეტდება ჩვენი მტრების მდგომარეობა, მით უფრო გაფთრებული და ვერაგი ხდება მტერი. ამიტომ ამოცანა ის არის, რომ ჩვენი პროპაგანდისტული და საგიტაციო მუშაობა განუწყვეტლივ ამაღლებდეს მასების რევოლუციურ სიფხიზლეს, განუმარტავდეს მათ კაპიტალისტური გარემოცვის არსს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხალხთა შორის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების პროპაგანდას. ამ საკითხზე ლექციები, მოხსენებები, საუბრები მშრომელებს უნდა ზრდიდეს ხალხთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით, დიდი რუსი ხალხის მსოფლიოისტორიული როლის ღრმა ცოდნით.

საგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის ხარისხის ამაღლება შეუძლებელია ლექტორებთან და მომხსენებლებთან მუშაობის გაუმჯობესების გარეშე. პარტიულ კომიტეტებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ გამოცდილი პროპაგანდისტები და მომხსენებლები თავისთავად არ ჩნდებიან, ისინი იზრდებიან და გამოცდილებას იძენენ პრაქტიკულ მუშაობაში პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური დახმარების, კონტროლისა და ხელმძღვანელობის შედეგად.

თივის აღება კოლმეურნეობებში

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს 5 აგვისტოს ცნობებით

რაიონები	სოფლის მეურნ. და დამზადებათა სამმართველოების უფროსები
წინ მიდიან:	
მარნეული	ბ. ფიშერი
ასპინძა	გ. ნიორაძე
ახალქალაქი	ა. ნიკოგოსიანი
ცაგერი	გ. ყუბუსიძე
დმანისი	დ. ანდღულაძე
ჩამორჩებიან:	
გარდაბანი	კ. სევასტოვი
ახალციხე	შ. წიქვაძე
თეთრი წყარო	გ. გოცირიძე
თელავი	ა. გოგიძე
კასპი	ხ. კოტეტიშვილი
გარეჯანი	ბ. სონღულაშვილი
მცხეთა	ბ. ხატიაშვილი
ლანჩხუთი	ი. ჩხაიძე
ცხაკაია	მ. სიბიტარაშვილი
ხობი	ი. მამულია
ამბროლაური	ვ. კაციტაძე
ონი	ბ. გოცირიძე
ქლუხორი	შ. ჯობაძე

საკვების დასაწყობება კოლმეურნეობებში

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს 5 აგვისტოს ცნობებით

რაიონები	სოფლის მეურნ. და დამზადებათა სამმართველოების უფროსები
წინ მიდიან:	
წალკა	პ. შახბაზოვი
ბოგდანოვკა	შ. ლორეციანი
კაჭრეთი	ს. გაგოშიძე
ჩამორჩებიან:	
ხაშური	პ. კუბლაშვილი
ქარელი	შ. დიბრუნდაშვილი
კასპი	ს. კოტეტიშვილი
ახალციხე	შ. წიქვაძე
ლაგოდეხი	გ. ბეგაშვილი
ბოლნისი	ი. ლომინეიშვილი
ვანი	გ. მაღლაკელიძე
ქუთაისი	ა. ყიფიანი
ცხაკაია	მ. სიბიტარაშვილი
წალენჯიხა	ნ. სალია
სამტრედია	ი. ხასია
ამბროლაური	ვ. კაციტაძე
ლანჩხუთი	ი. ჩხაიძე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს 1953 წლის 7 აგვისტოს სხდომის შესახებ

7 აგვისტოს, დილის 11 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა კავშირის საბჭოს მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **მ. ა. იასნოვი.**

კავშირის საბჭოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1951 წლის და 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: დეპუტატმა **ტ. ი. ყულიევმა** (აზერბაიჯანის სსრ, საბირაბადის ოლქი), დეპუტატმა **უ. ი. იუსუფოვმა** (უზბეკეთის სსრ, ტაშკენტის სტალინის ოლქი), დეპუტატმა **ა. ე. კოჩინიანმა** (სომხეთის სსრ, ლენინაკანის ოლქი), დეპუტატმა **ა. სუერკულოვმა** (ყირგიზეთის სსრ, ტიან-შანის ოლქი), დეპუტატმა **გ. ე. კოვალენკომ** (გროზნის ოლქის გროზნის სასოფლო საარჩევნო ოლქი), დეპუტატმა **ნ. ს. ტიხონოვმა** (ქალაქ ლენინგრადის ძერჟინსკის ოლქი), დეპუტატმა **ა. ი. კოზლოვმა** (ყაზახეთის სსრ, უსტ-კამენოგორსკის ოლქი), დეპუტატმა **პ. ა. ლიტვინოვმა** (ვოლოგდის ოლქის ჩერეპოვეცის საარჩევნო ოლქი), დეპუტატმა **დ. რასულოვმა** (ტაჯიკეთის სსრ, კულიაბის ოლქი), ამხ. **ა. თ. ტრეტიაკოვმა** (სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი), დეპუტატმა **ს. ბაბაევმა** (თურქმენეთის სსრ, ტაშაუზის ოლქი), ამხ. **ა. ე. პეტრუშევმა** (სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური საბჭოს გამგეობის თავმჯდომარე).

ამით დამთავრდა კავშირის საბჭოს მესამე სხდომა.

საინფორმაციო ცნობა

ეროვნებათა საბჭოს 1953 წლის 7 აგვისტოს სხდომის შესახებ

7 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა ეროვნებათა საბჭოს მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ჟ. შაიახმეტოვი.**

ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1951 წლის და 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: დეპუტატმა **პ. ს. პროკონენმა** (კარელიო-ფინეთის სსრ, პიტკიარანტის ოლქი), დეპუტატმა **მ. მ. მეჯიდოვმა** (დაღესტნის ასსრ, ხუნზახის ოლქი), სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის მინისტრმა **ს. ა. აკოპოვმა,** დეპუტატმა **გ. ე. ბურკაცკიამ** (უკრაინის სსრ, უმანის ოლქი), დეპუტატმა **ა. ი. მირცხულავამ** (აფხაზეთის ასსრ, გალის სასოფლო ოლქი), დეპუტატმა **ი. ა. აფანასიევმა** (ჩუვაშეთის ასსრ, ჩებოქსარის ოლქი), დეპუტატმა **ბ. ა. გრიგორიანმა** (სომხეთის სსრ, 305 ოლქი), დეპუტატმა **მ. მ. ალიევმა** (აზერბაიჯანის სსრ, ლაჩინის ოლქი), დეპუტატმა **რ. ტ. მახლმა** (ესტონეთის სსრ, რაკვერის სამხრეთი ოლქი), დეპუტატმა **ა. ტ. ვენცლოვამ** (ლიტვის სსრ, ალიტუსის ოლქი), დეპუტატმა **ა. სარიევმა** (თურქმენეთის სსრ, კაგანოვიჩის ოლქი).

ამით დამთავრდა ეროვნებათა საბჭოს მესამე სხდომა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. მ. პუზანოვის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის შემდეგ სსრ კავშირის კონსტიტუციის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 108 მუხლის შესაბამისად მოეწყო კავშირის საბჭოს დეპუტატების არჩევნები 16 საარჩევნო ოლქში გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად.

1952 წლის 23 მარტს ლენინგრადის ოლქის ვოლხოვის № 53 საარჩევნო ოლქში არჩეულია დეპუტატი პეტრე თევდორეს-ძე ლადანოვი და კალინინის ოლქის რეკევის № 170 საარჩევნო ოლქში — დეპუტატი ვიქტორ ივანეს-ძე კისელიოვი; 1952 წლის 6 აპრილს სტალინოს ოლქის მაკეევკის № 487 საარჩევნო ოლქში არჩეულია დეპუტატი ივანე ილიას-ძე ხოტენკოვი; 1952 წლის 27 აპრილს დაღისტნის ასსრ დერბენტის № 359 საარჩევნო ოლქში არჩეულია დეპუტატი თაირ ალიმოვი; 1952 წლის 29 ივლისს კემეროვოს ოლქის კემეროვოს № 174 საარჩევნო ოლქში არჩეულია დეპუტატი ვასილ მიხეილის-ძე მოკრუშინი და ლვოვის ოლქის ბროდის № 460 საარჩევნო ოლქში — დეპუტატი პეტრე სტეფანეს-ძე კოზლანიუკი; 1952 წლის 7 დეკემბერს ვინიცის ოლქის კაზატინის № 391 საარჩევნო ოლქში არჩეულია დეპუტატი პეტრე ივანეს-ძე ივაშუტინი; 1953 წლის 25 იანვარს გორკის ოლქის არზამასის № 145 საარჩევნო ოლქში არჩეულია დეპუტატი ალექსი მიხეილის-ძე სალანოვი; 1953 წლის 22 მარტს სომხეთის სსრ ლენინაკანის № 658 საარჩევნო ოლქში არჩეულია დეპუტატი ანტონ ერვანდის-ძე კოჩინიანი; 1953 წლის 29 მარტს როსტოვის ოლქის ტაგანროგის № 262 საარჩევნო ოლქში არჩეულია დეპუტატი პავლე ნიკოლოზის-ძე გარცუევი, ჩიტის ოლქის ბორზის № 333 საარჩევნო ოლქში — დეპუტატი ექვთიმე გრიგოლის-ძე ტროცენკო, ყაზახეთის სსრ ჩიმკენტის № 596 სასოფლო საარჩევნო ოლქში — დეპუტატი დინმუჰამედ ახმედის-ძე კუნაევი; 1953 წლის 24 მაისს სტალინოს ოლქის სტალინოს № 481 მეორე საარჩევნო ოლქში არჩეულია დეპუტატი მიხეილ ანტონის-ძე ბოგომოლოვი; 1953 წლის 31 მაისს ქალაქ ლენინგრადის მოსკოვის № 41 საარჩევნო ოლქში არჩეულია დეპუტატი ალექსანდრე ალექსის-ძე ლებედევი; 1953 წლის 21 ივნისს მოლოტოვის ოლქის კუნგურის № 223 საარჩევნო ოლქში არჩეულია დეპუტატი ნიკოლოზ მიხეილის-ძე პეგოვი; 1953 წლის 26 ივლისს მოსკოვის ოლქის ორეხოვო-ზუევოს № 23 საარჩევნო ოლქში არჩეულია დეპუტატი ვიქტორ ვასილის-ძე გრიშინი.

კავშირის საბჭოს დეპუტატთა არჩევნები მიმდინარეობდა საარჩევნო ოლქებში იმ საზღვრებში, რომლებიც დადგენილი იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საერთო არჩევნების დროს 1950 წლის მარტში.

კავშირის საბჭოს არჩევნების თვითეულ საარჩევნო ოლქში საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან შექმნილი იყო საოლქო საარჩევნო კომისიები, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 46 მუხლის შესაბამისად ახორციელებდნენ არჩევნებისადმი ხელმძღვანელობას.

არჩევნები მიმდინარეობდა მოსახლეობის დიდი პატრიოტული აღმავლობისა და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში. ამომრჩევლებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

16-ვე საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.663.820 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს ამ ოლქების ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,98 პროცენტს. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 2.663.496 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს ხმის მიცემაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,95 პროცენტს.

დასახელებულ საარჩევნო ოლქებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შედეგები ერთხელ კიდევ ადასტურებს საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას.

სამანდატო კომისიამ, რომელიც არჩეულია კავშირის საბჭოს პირველ სესიაზე სსრ კავშირის კონსტიტუციის 50 მუხლის საფუძველზე, შეამოწმა 16-ვე საარჩევნო ოლქში თვითეული არჩეული დეპუტატის საარჩევნო დოკუმენტები და მასალები, რომლებიც საოლქო საარჩევნო კომისიებმა წარმოადგინეს, განიხილა საოლქო საარჩევნო კომისიების ოქმები დეპუტატთა კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ და საოლქო საარჩევნო კომისიების ოქმები კენჭისყრის შედეგების შესახებ.

თვითეულ არჩეულ დეპუტატზე დოკუმენტებისა და მასალების შემოწმების შემდეგ სამანდატო კომისიამ გამოარკვია, რომ კავშირის საბჭოს დეპუტატთა არჩევნები 16-ვე საარჩევნო ოლქში მოწყობილია სსრ კავშირის კონსტიტუციის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საფუძველზე და სრული შესაბამისობით.

არ არის არავითარი საფუძველი რომელიმე საარჩევნო ოლქში არჩევნების კასაციისათვის, აგრეთვე არავითარი საჩივარი და განცხადება სსრ კავშირის კონსტიტუციის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების დარღვევების შესახებ კავშირის საბჭოს დეპუტატთა არჩევნების არც ერთ საარჩევნო ოლქში.

ამის საფუძველზე კავშირის საბჭოს სამანდატო კომისია ცნობს ყველა აღნიშნულ საარჩევნო ოლქში კავშირის საბჭოს არჩეულ დეპუტატთა რწმუნებებს და შემოაქვს თავისი წინადადებანი კავშირის საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. გ. კებინის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

სსრ კავშირის კონსტიტუციის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 108 მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე და მეხუთე სესიებს შორის მოეწყო ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნები შვიდ საარჩევნო ოლქში გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად.

ეროვნებათა საბჭოს შვიდივე საარჩევნო ოლქში, სადაც არჩევნები მოეწყო, შენარჩუნებული იყო ოლქების იგივე საზღვრები, რაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1950 წლის მარტის არჩევნების დროს იყო.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თვითეულ საარჩევნო ოლქში შექმნილი იყო საოლქო საარჩევნო კომისია, რომელიც, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 50 მუხლის შესაბამისად, ახორციელებდა არჩევნებისადმი ხელმძღვანელობას.

ყველა ოლქში დეპუტატობის კანდიდატები დასახელებული და რეგისტრირებული იყვნენ საოლქო საარჩევნო კომისიაში თავის დროზე და სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით.

1952 წლის 8 ივნისს მარეთის ასსრ იურინოს № 499 საარჩევნო ოლქში არჩეულია დეპუტატი ალექსი მიხეილის-ძე სპირიდონოვი და უდმურტეთის ასსრ უვის № 549 საარჩევნო ოლქში — დიმიტრი მიხეილის-ძე ხოლზაკოვი.

1952 წლის 28 სექტემბერს სომხეთის სსრ კაფანის № 325 საარჩევნო ოლქში არჩეულია დეპუტატი გრანტ ბახშოს-ძე ბაღდასარიანი.

1952 წლის 28 დეკემბერს ბელორუსიის სსრ პოსტავის № 70 საარჩევნო ოლქში არჩეულია დეპუტატი ტიმოთე საზონის-ძე გორბუნოვი.

1953 წლის 29 მარტს ხაბაროვსკის მხარის კორიაკის № 624 საარჩევნო ოლქში არჩეულია დეპუტატი გიორგი ეგნატეს-ძე ბეკერევი.

1953 წლის 24 მაისს ნახჭევნის ასსრ ენგიჯინის № 516 საარჩევნო ოლქში არჩეულია დეპუტატი საბიტ ატას-ძე ორუჯევი.

1953 წლის 21 ივნისს ბელორუსიის სსრ სლუცკის № 57 საარჩევნო ოლქში არჩეულია დეპუტატი ვიქტორ მიტროფანეს-ძე ბოგდანოვიჩი.

ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატია.

ყველა ოლქში არჩევნები მიმდინარეობდა ამომრჩეველთა მაღალი პოლიტიკური აქტივობით. არჩევნების დღეს თითქმის ყველა ამომრჩეველი გამოცხადდა საარჩევნო უბნებში. მაგალითად, კაფანის № 325 საარჩევნო ოლქში და ენგიჯინის № 516 საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო უკლებლივ ყველა ამომრჩეველმა. იურინოს № 499 საარჩევნო ოლქში, უვის № 549 საარჩევნო ოლქში, პოსტავის № 70 საარჩევნო ოლქსა და სლუცკის № 57 საარჩევნო ოლქში კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა. კორიაკის № 624 საარჩევნო ოლქში კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99,93 პროცენტმა.

მთლიანად შვიდივე ოლქში კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 512.824 კაცმა ანუ ამ ოლქების ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,99 პროცენტმა.

უკლებლივ ყველა საარჩევნო ოლქში კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა თითქმის ყველა ამომრჩეველმა, რითაც ცხადყო საბჭოთა ადამიანების ურყევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. მთლიანად შვიდივე ოლქში კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატების არჩევას ხმა მისცა 512.640 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,96 პროცენტს.

ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიამ სსრ კავშირის კონსტიტუციის 50 მუხლის საფუძველზე შვიდივე საარჩევნო ოლქში შეამოწმა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ წარმოდგენილი ოქმები დეპუტატთა კანდიდატების რეგისტრაციისა და საოლქო საარჩევნო კომისიების ოქმების კენჭისყრის შედეგების შესახებ, აგრეთვე კანდიდატთა თანხმობა კენჭი იყარონ სათანადო საარჩევნო ოლქებში. საჩივრები და განცხადებანი სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების დარღვევების შესახებ არ ყოფილა.

დოკუმენტების შემოწმების შედეგად სამანდატო კომისიამ გამოარკვია, რომ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნები ზემოთ ჩამოთვლილ შვიდივე საარჩევნო ოლქში მოეწყო სსრ კავშირის კონსტიტუციის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არევნების დებულების საფუძველზე და სრული შესაბამისობით და რომ არავითარი საფუძველი არ არის რომელიმე საარჩევნო ოლქში არჩევნების კასაციისათვის.

ამის საფუძველზე ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისია ცნობს ყველა აღნიშნულ საარჩევნო ოლქში ეროვნებათა საბჭოს არჩეული დეპუტატების რწმუნებებს და სათანადო წინადადება შემოაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

ეროვნებათა საბჭოში

სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1951 წლის და 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. ს. ხოხლოვის თანამოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ განიხილა უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად მთავრობის მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და ანგარიშები სსრ კავშირის 1951 და 1952 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ და შეისწავლა მასალები, რომლებიც ასაბუთებენ შემოსავალსა და გასავალს.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება ამ წლებში მიმდინარეობდა სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის პირობებში, რასაც ჩვენმა ხალხმა მიაღწია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით.

ბევრმა სახელმწიფო საწარმომ და სამეურნეო ორგანიზაციამ გადაჭარბებით შეასრულა ბრუნვის გადასახადის და მოგებიდან ანარიცხების გეგმები და ბიუჯეტში გეგმის გადამეტებით შეიტანა მნიშვნელოვანი თანხები. მაგალითად, გეგმის გადამეტებით მოგებიდან გადასახადის მნიშვნელოვანი თანხები შეიტანეს ფერადი მეტალურგიის საწარმოებმა, სსრ კავშირის გზათა სამინისტროს და მთელმა რიგმა სხვა საწარმოებმა.

ყოველივე ამან დადებითი გავლენა მოახდინა ბიუჯეტის შესრულებაზე. სსრ კავშირის 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულდა შემოსავლის ნაწილში 102,5 პროცენტით, ამასთან შემოსავლმა გასავალს გადააჭარბა 27,3 მილიარდი მანეთით, და 1952 წელს — 101 პროცენტით, ამასთან შემოსავლმა გასავალს გადააჭარბა 37,5 მილიარდი მანეთით. ეს თანხები მოხმარდა სახალხო მეურნეობის დაკრედიტებას.

შემოსავლის წარმატებით შესრულებამ შესაძლებელი გახადა უზრუნველგვეყო ყველა ღონისძიების დაფინანსება სახალხო მეურნეობის განვითარების წლიური გეგმების შესაბამისად.

ამასთან ერთად საბიუჯეტო კომისია აღნიშნავს, რომ ზოგიერთი სამინისტროს საწარმოებმა არადამაკმაყოფილებლად შეასრულეს თავისი საბიუჯეტო ვალდებულებანი. მაგალითად, ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებმა ბიუჯეტს დააკლეს მოგებიდან ანარიცხები 180 მილიონი მანეთი 1952 წელს და ცუდად ასრულებენ ბიუჯეტში გადასახდელთა გეგმას წელსაც. მთლიანად ვერ ასრულებენ ვალდებულებებს მიმდინარე წელს აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობის, მანქანათმშენებლობის საწარმოები და ზოგიერთი სხვა.

სამინისტროთა ხელმძღვანელები მოვალენი არიან მიიღონ საჭირო ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ მათდამი დაქვემდებარებული საწარმოებისათვის დადგენილი შემოსავლის გეგმების შესრულება 1953 წელს.

მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტები შემოსავლის ნაწილში შესრულებულია 1951 წელს 104,7 პროცენტით და 1952 წელს — 101,2 პროცენტით.

მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტების მთლიანად შესრულების პირობებში, უზბეკეთის სსრ და ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოებმა 1952 წელს შეასუსტეს მუშაობა ბიუჯეტის შესასრულებლად. ამის შედეგად უზბეკეთის სსრ ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი შესრულებული იყო 97,3 პროცენტით და გასავლის ნაწილი — 94,5 პროცენტით. ყირგიზეთის სსრ ბიუჯეტი შესრულებულია შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 98,3 პროცენტით. ამ რესპუბლიკებში სერიოზული ნაკლოვანებანია დაშვებული სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა დაფინანსებაში. უზბეკეთის სსრ და ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოებმა უნდა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა ბიუჯეტის შესრულებისადმი.

1951 და 1952 წლებში მნიშვნელოვნად განმტკიცდა საბიუჯეტო დისციპლინა. ფინანსთა სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა გააძლიერეს კონტროლი საბიუჯეტო დაწესებულებებში სახსრების ხარჯვისადმი. მაგრამ საფინანსო ორგანოების მხრივ იყო საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევის ცალკეული ფაქტები. მაგალითად, უზბეკეთის სსრ ფინანსთა სამინისტრომ 1951 წელს რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობას ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნობათა გადამეტებით მისცა 3.641 ათასი მანეთი. მოლდავეთის სსრ ფინანსთა სამინისტრომ ბოლცის ბეწვეულის ფაბრიკას საბიუჯეტო ასიგნობათა გადამეტებით მისცა 3.178 ათასი მანეთი.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ უნდა გააძლიეროს თავისი კადრების აღზრდა საბიუჯეტო დისციპლინის უმკაცრესი დაცვის სულისკვეთებით და არ დაუშვას, რომ მისდამი დაქვემდებარებული საფინანსო ორგანოების ხელმძღვანელები არღვევდნენ ამ დისციპლინას.

საბიუჯეტო კომისიას წინადადება შემოაქვს დამტკიცდეს ანგარიშები სსრ კავშირის 1951 და 1952 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ იმ თანხებით, რომლებიც მიღებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც მთავრობამ შემოიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად, შედგენილია 1953 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის სრული შესაბამისობით.

ბიუჯეტში ასახულია სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი დიდი შემცირება, რაც ამა წლის 1 აპრილიდან განხორციელდა. როგორც ცნობილია, მარტო სახელმწიფო საცალო ფასების შემცირებით მოსახლეობა წელიწადში მიიღებს 46 მილიარდ მანეთ სარგებლობას.

ბიუჯეტში ასახულია აგრეთვე პარტიისა და მთავრობის სხვა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობის, კულტურის შემდგომი განვითარება და სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განსაზღვრა შემოსავლის ნაწილში 543,3 მილიარდი მანეთით და გასავლის ნაწილში 530,5 მილიარდი მანეთით, ამასთან, შემოსავალი გასავალს აღემატება 12,8 მილიარდი მანეთით.

ჩვენი ბიუჯეტის საფუძველია შემოსავალი სოციალისტური მეურნეობიდან. შემოსავალი სოციალისტური მეურნეობიდან წელს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი შემოსავლის ოთხ მეხუთედზე მეტს. ამ შემოსავალში დიდი ადგილი უკავია სახელმწიფო საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგების ანარიცხებს.

1953 წლის ბიუჯეტში შემოსავალი მოსახლეობის გადასახადებიდან, სესხებიდან და სხვა შემოსავლიდან მცირდება 15,3 მილიარდი მანეთით გასული წლის შემოსავალთან შედარებით და შეადგენს 14,1 პროცენტს ნაცვლად 1952 წლის 18,5 პროცენტისა.

მთავრობამ მიიღო დადგენილება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ოდენობის მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ, რაც მკვეთრად შეამცირებს ბიუჯეტში ამ სახის შემოსავლის მიღებას. ეს ღონისძიება მკაფიოდ ასახავს პარტიისა და მთავრობის ზრუნვას სოფლის მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლის მიღება დამოკიდებულია თვითეული საწარმოს მიერ სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებაზე. ამიტომ საჭირო, რომ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა ყველა ხელმძღვანელი, ყველა საფინანსო მუშაკი აქტიურად იბრძოდეს სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისათვის.

სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია: სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — 192,5 მილიარდი მანეთი, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად — 129,8 მილიარდი მანეთი.

სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების ხარჯები შეადგენს ბიუჯეტის მთელი გასავლის თითქმის ორ მესამედს. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ასეთი წარმართვა უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის შემდგომ მძლავრ აღმავლობას, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას და საქმით ადასტურებს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პოლიტიკას, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ.

საბჭოთა ხალხი მთელ ძალღონეს ახმარს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას და მთლიანად უჭერს მხარს სამშვიდობო პოლიტიკას, რომელსაც უცვლელად ახორციელებენ ჩვენი პარტია და მთავრობა. ამასთან ერთად საბჭოთა ხალხი იძულებულია გაითვალისწინოს საერთაშორისო რეაქციის ხრიკები, რომელიც ამზადებს ახალი ომის გეგმებს, აძლიერებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ თავისი აგენტურის ძირგამომთხრელ საქმიანობას. ეს მოითხოვს ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ჯეროვანი თავდაცვის უზრუნველყოფას. ამიტომ საბიუჯეტო კომისიის სწორად მიაჩნია მთავრობის წინადადება ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვისათვის ასიგნობათა შესახებ.

1953 წლისათვის მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტები გათვალისწინებულია 102,6 მილიარდი მანეთი თანხით, რაც შარშანდელთან შედარებით 4,8 მილიარდი მანეთით მეტია. რესპუბლიკების სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად მათი ბიუჯეტებით გათვალისწინებულია მთელი სახსრების თითქმის ცხრა მეათედი.

ომისშემდგომი წლების მანძილზე სახალხო მეურნეობაში მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებით დაბანდებანი შეადგენდა 142 მილიარდ მანეთზე მეტს, ხოლო სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯები — 405 მილიარდ მანეთზე მეტს. 1953 წელს რესპუბლიკების ბიუჯეტებით სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია დაახლოებით 22 მილიარდი მანეთი და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის 70 მილიარდ მანეთზე მეტი. რესპუბლიკების სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ყოველწლიურად უდიდესი თანხების დაბანდებამ როგორც მათი ბიუჯეტებიდან, ისე საკავშირო ბიუჯეტიდან სახე უცვალა საბჭოთა რესპუბლიკებს და ააყვავა მათი ეკონომიკა და კულტურა. სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ჰეშმარიტად მძლავრ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

ყოველივე ეს მიღწეულია ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისა და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად.

საბიუჯეტო კომისიას წინადადება შემოაქვს დამტკიცდეს მთავრობის მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საბიუჯეტო კომისიის შემდეგი შესწორებებით.

წინადადებაა ბიუჯეტის შემოსავალი გადიდდეს 907,4 მილიონი მანეთით, აქედან ბრუნვის გადასახადი — 617,4 მილიონი მანეთით; ანარიცხები სახელმწიფო ბანკის მოგებიდან — 100 მილიონი მანეთით; სახელმწიფო ბაჟი, კოოპერაციული ორგანიზაციებისაგან საპატენტო გამოსაღები, სატყეო შემოსავალი და სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსავალი — 155 მილიონი მანეთით; დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ შარშან მიღებული და გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნება — 35 მილიონი მანეთით.

წინადადებაა შემოსავალი ბრუნვის გადასახადით გადიდდეს სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით 570 მილიონი მანეთით იმის გამო, რომ გადიდდა გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია; სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროს ხაზით — 1,4 მილიონი მანეთით და სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით — 46 მილიონი მანეთით იმის გამო, რომ გადიდდა მასობრივი მოხმარების საქონლის რეალიზაცია.

დანარჩენი შესწორებანი შემოტანილია ანგარიშსწორების დაზუსტების შედეგად.

წინადადებაა, რომ საბიუჯეტო კომისიის მიერ გამოვლინებული დამატებითი სახსრები 907,4 მილიონი მანეთის რაოდენობით მოხმარდეს სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის გადაჭარბებას გასავალზე.

საბიუჯეტო კომისიამ მიიღო ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის მთავრობათა შუამდგომლობა ცალკეულ ღონისძიებებზე ასიგნობათა გადიდების შესახებ. საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ეს შუამდგომლობანი და მიზანშეწონილად მიაჩნია გადიდდეს მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების გასავალი 35,3 მილიონი მანეთით, აქედან 20 მილიონი მანეთით — უკრაინის სსრ ბიუჯეტი ანგარიშსწორების დაზუსტების გამო; 13,3 მილიონი მანეთით — უზბეკეთის სსრ ბიუჯეტი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა შესანახად და ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდის შესაკეთებლად და 2 მილიონი მანეთით — ტაჯიკეთის სსრ ბიუჯეტი ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდის შესაკეთებლად. აღნიშნული თანხები რესპუბლიკებს უნდა გამოეყოთ მიმდინარე წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პროცესში.

გარდა ამისა, საბიუჯეტო კომისიას საჭიროდ მიაჩნია მოახსენოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, რომ სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვაზე მუშაობის დროს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების წინადადებანი 3.035 მილიონი მანეთის საერთო თანხით შემოსავლის გადიდების შესახებ მიღებული და გათვალისწინებულია სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით, რომელიც წარმოდგენილია ამ სესიის განსახილველად.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის გადიდება დამოკიდებულია ძალიან ბევრ ფაქტორზე, თუ რამდენად აქტიურად და სრულად განხორციელდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მითითებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის დაცვის შესახებ.

„რაც უფრო სრულად და რაციონალურად იქნება გამოყენებული საწარმოო რესურსები, — ამბობდა პარტიის XIX ყრილობაზე ამხ. გ. მ. მალენკოვი, რაც უფრო ყაირათიანად და ანგარიშიანად ვაწარმოებთ ჩვენს მეურნეობას, — მით უფრო მეტ წარმატებებს მოვიპოვებთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში, მით უფრო მეტ შედეგებს მივაღწევთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში“.

თუ რამდენად დიდია ჩვენი შესაძლებლობანი ამ საქმეში, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ მარტო სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით 1951 წელს მიღებულია 35,5 მილიარდი მანეთი ეკონომია, ხოლო 1952 წელს — 46 მილიარდ მანეთზე მეტი.

სახალხო-სამეურნეო გეგმის საერთოდ წარმატებით შესრულებასთან ერთად ჯერ კიდევ არის საწარმოები, რომლებიც არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, ვერ ასრულებენ წარმოებას გეგმებს, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებებს და ვალდებულებებს ბიუჯეტის წინაშე. სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის საწარმოებმა 1952 წელს წარმოების გეგმა მხოლოდ 96 პროცენტით შეასრულეს. გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო მთელ რიგ ქარხნებში ტექნოლოგიური და საწარმოო დისციპლინის შესუსტება, რამაც გავლენა მოახდინა პროდუქციის ხარისხზეც.

წარმოების გეგმის შეუსრულებლობისა და დიდი უნაყოფო ხარჯების გამო მნიშვნელოვნად გადიდდა გეგმასთან შედარებით სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ქარხნების პროდუქციის თვითღირებულება. ეს გაძვირება მოხდა უმთავრესად ორთქლმავლების ქარხნებში, სამდინარო გემთმშენებლობის ქარხნებში, აგრეთვე ჩელიაბინსკის ქარხანაში. აღნიშნული ქარხნებმა არადამაკმაყოფილებელმა მუშაობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მრეწველობის მთელი ამ დარგის მაჩვენებლებზე, რომლის შემადგენლობაშიც ცოტა როდია კარგად მომუშავე საწარმო. მაგალითად, ხარკოვის სატრანსპორტო მანქანათმშენებელმა ქარხანამ 1952 წელს საერთო პროდუქციის გეგმა შეასრულა 107 პროცენტით და თვითღირებულების შემცირებით მიიღო 4.290 ათასი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია, ხოლო კიევის ქარხანა „ლენინსკია კუზნაცამ“ წარმოების გეგმა შეასრულა 112,3 პროცენტით და თვითღირებულების შემცირებით მიიღო 1.880 ათასი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია.

პარტია და მთავრობა დიდ დახმარებას უწევენ ქვანახშირის მრეწველობას პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვაში. ჩვენი ქვანახშირის მრეწველობა ტექნიკური აღჭურვილობით პირველ ადგილზეა მსოფლიოში და დიდ წარმატებებს მიაღწია თავის განვითარებაში. მაგრამ ჯერ კიდევ ყველგან სწორად როდი იყენებენ მექანიზაციის არსებულ საშუალებებს. ტრესტ „კრასნოარმეისკუგოლის“ № 42 შახტაში 1953 წლის 1 იანვრისათვის მუშაობდა არსებულ კომბაინთა მხოლოდ ერთი მესამედი; საყელავი მანქანები გამოყენებული იყო 38 პროცენტით. შარშან საკმაოდ ვერ გამოიყენეს მექანიზმები კომბინატ „მოლოტოვუგოლის“ შახტებში. მდგომარეობა წელსაც არ გაუმჯობესებულა. 1953 წლის 1 ივნისისათვის ამ კომბინატში მუშაობდა კომბაინების მხოლოდ 10 პროცენტი, საყელავი მანქანების 64 პროცენტი, ქვანახშირის დასატვირთი მანქანების 26 პროცენტი და ქანსატვირთი მანქანების 60 პროცენტი. ამის შედეგად კომბინატი „მოლოტოვუგოლი“ ვერ უზრუნველყოფს ქვანახშირის ამოღებას გეგმის შესრულებას.

ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობა მრეწველობისაგან ყოველწლიურად იღებს დიდძალ ტრაქტორებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. შარშან სოფლის მეურნეობამ მიიღო 131 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით), მარცვლეულის ასაღები 41 ათასი კომბაინი და 2 მილიონზე მეტი სხვა მანქანა და იარაღი.

ბევრი მანქანა-ტრაქტორთა სადგური გვიჩვენებს ტექნიკის ეფექტიანად გამოყენების ნიმუშებს. ამასთან ერთად ზოგიერთ მტს-ში მანქანები და იარაღები საკმაოდ არ არის გამოყენებული. ტამბოვის ოლქის კრასნოვის მტს-ში 1952 წელს ტრაქტორები გაცდენენ დაახლოებით ნახევარ სამუშაო დროს; პოლესიეს ოლქის ვასილევიჩის მტს-ში ტრაქტორები გაცდენენ საუშაო დროის დაახლოებით 45 პროცენტს. გაცდენების ნახევარზე მეტი გამოწვეულია შეკეთების ცუდი ხარისხით და მანქანების მოვლის წესების დარღვევით. მტს-ებს მუშაობაში არსებითი ნაკლოვანებებია დაშვებული სხვა რაიონებშიც, რის შედეგადაც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს სატრაქტორო სამუშაოთა ღირებულება შარშან გეგმას აღემატებოდა. უკანასკნელ წლებში მტს-ების მეურნეობა გაიზარდა და დიდ მასშტაბს მიაღწია, მაგრამ ჯერ კიდევ არ წარმოებს საჭირო ბრძოლა სამუშაოთა ღირებულების გაიაფებისათვის და ხარჯვაში მომჭირნეობისათვის.

არსებული დებულებით მტს-ების ყველა ხარჯის ანაზღაურება წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სახელმწიფო ბიუჯეტში კი სახსრები შედის მტს-ების მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის. წესიერად იღებენ რა ბიუჯეტიდან სახსრებს ხარჯებისათვის, მტს-ების ხელმძღვანელები და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ორგანოები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი შეიტანონ ბიუჯეტში სახსრები შესრულებული სამუშაოებისათვის, რაც იწვევს ყოველწლიურად მტს-ების შემოსავლის გეგმის შეუსრულებლობას. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ წესიერი უნდა დაამყაროს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების საფინანსო მეურნეობაში.

ბევრმა სამშენებლო ორგანიზაციამ 1952 წელს ვერ უზრუნველყოფ მშენებლობის ღირებულების შემცირების მათთვის დადგენილ დავალებათა შესრულება. მაგალითად, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შემცირების ნაცვლად გაძვირება დაუშვეს სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებმა.

მშენებლობის ღირებულების გაძვირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო მექანიზმების არადამაკმაყოფილებლად გამოყენება. მაგალითად, ტრესტ „როსტოვშახტსტროიში“ შარშან სკრეპერები და ბულდოზერები სამუშაო დროის ნახევარზე მეტს უმოქმედოდ იყო, ხოლო კომბინატ „სტალინშახტსტროიში“ ერთიც�sვიანი ექსკავატორები მუშაობდნენ სამუშაო დროის დაახლოებით 60 პროცენტს.

მშენებლობაში დიდი ნაკლოვანებაა ახალ საწარმოთა ამუშავების გეგმების შეუსრულებლობა. სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრომ შარშან ვერ შეასრულა პურის საცხობი, ზეთის თესლის გადამამუშავებელი, ტრიკოტაჟის თეთრეულის, ფეხსაცმლის წარმოების, თითისტრებისა და სამაცივრო მოცულობათა ახალი სიმძლავრეების ამუშავების გეგმა. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა დაუმთავრებელი მშენებლობის ნაშთი.

ახალ სიმძლავრეთა ამუშავების შეფერხება აბრკოლებდა 1952 წლას საწარმოო გეგმის შესრულებას და ანელებდა 1953 წლის პირველ ნახევარში მოსახლეობისათვის საჭონლის წარმოების ზრდას.

ფერხდება აგრეთვე საწარმოთა ახალი საცხოვრებელი სახლების, საავადმყოფოებისა და საბავშვო ბაღების ექსპლოატაციოდ გადაცემა. 1952 წელს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში საცხოვრებელი ფართობის ექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა შესრულებული იყო 88 პროცენტით და საავადმყოფოებისა — 37 პროცენტით. სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში საბავშვო ბაღების ექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა შესრულებული იყო 58 პროცენტით და საავადმყოფოებისა — 26 პროცენტით, სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში შესაბამისად — 52 პროცენტით და 41 პროცენტით. საწარმოთა და სამინისტროების ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ბინების, საავადმყოფოებისა და საბავშვო დაწესებულებების მშენებლობას.

ბევრ შემთხვევაში მშენებლობა ბრკოლდება იმის გამო, რომ მას დროზე არ უზრუნველყოფენ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით. 1953 წლის გეგმაში შეტანილ მთელ რიგ მშენებლობებს არა აქვთ ტექნიკური დოკუმენტაცია. სერიოზულად ჩამორჩება ტიპობრივი დაპროექტება. 1952 წელს ტიპობრივი დაპროექტების გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 77,6 პროცენტით. სამინისტროთა საპროექტო ორგანიზაციების მიერ შედგენილ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში ჯერ კიდევ ლშვებენ ზედმეტობას. სამინისტროებმა უნდა მიიღონ ღონისძიებანი თავიანთი საპროექტო ორგანიზაციების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

გრძელვადიან დაბანდებათა ბანკების მხრივ მშენებლობისადმი მანეთით კონტროლი ჯერ კიდევ არ შეესაბამება პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანებს. ბანკები საკმაოდ არ ამოწმებენ სამშენებლო ორგანიზაციების მიერ სახსრების გამოყენებას და სუსტად ახორციელებენ კონტროლს იმისადმი, თუ როგორ წარმოებს კაპიტალურ მშენებლობაში შინარეს ურსების მობილიზაცია. მაგალითად, სამრეწველო ბანკის ლვოვისა და მოგილიოვის კანტორებმა აანაზღაურეს ფაქტურად შეუსრულებელი სამუშაოები.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ უნდა გააძლიეროს მომთხოვნელობა ბანკებისადმი, რომლებიც კაპიტალდაბანდებებს აფინანსებენ, და უზრუნველყოს, რომ ბანკებმა გააძლიერონ კონტროლი მშენებლობის გეგმების შესრულებისა და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისადმი.

სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა ზედმეტობასთან ფულდი და მატერიალური სახსრების ხარჯვაში და ვიწროუწყებრივი ინტერესების გამოვლინებასთან. ჩვენმა ჯერ კიდევ არიან სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც ვიწროუწყებრივი ინტერესებით, სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ, ქმნიან გეგმებში დიდ რეზერვებს. მაგალითად, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს კარადაგის ცემენტის ქარხანაში 1952 წელს პროდუქციის გეგმიანი თვითღირებულება ხელოვნურად გადიდებული იყო 7,5 მილიონი მანეთით. როცა სამინისტროს მთავარსამმართველომ მაისში ძიღო ამ ქარხნის ტექნიკურ-სამრეწველო-საფინანსო გეგმა, მას არ გაუხილავს და არ დაუმტკიცებია. აგი 1952 წლის ნოემბრამდე, რითაც ქარხანას საშუალება მისცა თითქმის მთელ წელიწადს ეხელმძღვანელა პროდუქციის თვითღირებულების გადიდებული გეგმით. მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის გეგმიანი ხარჯვა გადიდებული იყო აგრეთვე კრამატორსკის, ბელგოროდის და სტალინაბადის ცემენტის ქარხნებში. სულ ექვს ცემენტის ქარხანაში პროდუქციის გეგმიანი თვითღირებულება გადიდებული იყო 15 მილიონი მანეთით, ანუ 8,3 პროცენტით.

ქარხნების ხარჯთაღრიცხვებში დიდი რეზერვების არსებობამ საშუალება მისცა ბევრ საწარმოს, ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა შესრულებისას, დაეფარათ უყაირათობით გამოწვეული დანაკარგები და არასაწარმოო ხარჯები. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოებში 1951 წელს ასეთი რეზერვებით დაფარეს წუნის დანაკარგი 191,9 მილიონი მანეთი და არასაწარმოო ხარჯები 50,6 მილიონი მანეთი. ამავე დროს ანგარიშში ნაჩვენები იყო 59,5 მილიონი მანეთი ეკონომია გეგმით გათვალისწინებულ თვითღირებულებასთან შედარებით.

ასეთი პრაქტიკა დიდ ზიანს აყენებს სახელმწიფოს და გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას. ამასთან ერთად ეს პრაქტიკა მოწმობს შესაბამის სამინისტროთა საგეგმო-ეკონომიური მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებს, აგრეთვე იმას, რომ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო საკმაო კონტროლს არ უწევს სამინისტროთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას და ნაკლებად სწავლობს სახალხო მეურნეობის დარგების ეკონომიკას.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი საბჭოთა ხალხი აღფრთოვანებით ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. კიდევ უფრო მჭიდროდ რაზმავენ რა თავიანთ რიგებს კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხები ენერგიულად იბრძვიან სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, მშრომელთა ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ჩვენს პარტიასა და მთავრობას თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ კვლავაც დაუცხრომლად იზრუნონ საბჭოთა ხალხის მუდმივად მზარდ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის.

მეხუთე ხუთწლედის მესამე წლის უდიდესი ამოცანების გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო განიხილავს. სამინისტროებმა, უწყებებმა, საფინანსო ორგანოებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა შეასრულონ ბიუჯეტის შემოსავლის გეგმა. ამასთან ერთად საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას ბიუჯეტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დროზე დაფინანსება და სახელმწიფო სახსრების გამოყენებაში მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის დაცვა.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულება ხელს შეუწყობს ახალ გამარჯვებათა მოპოვებას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობაში, რომლისკენაც მტკიცე რწმენით მიეყევართ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას. **(ხანგრძლივი ტაში).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაგზე

კავშირის საბჭოში

სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1951 წლის და 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ლ. რ. კორნიეცის თანამოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებმა საბჭოთა ხალხი შეაიარაღა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობის დიდებული პროგრამით, კომუნიზმის გზით ჩვენი შემდგომი წინსვლის პროგრამით.

ახორციელებენ რა ყრილობის გადაწყვეტილებებს, კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ დიდი მუშაობა გასწიეს ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებისათვის, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ რა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ჩვენი ქვეყნის მშრომელნი თავიანთ ძალღონეს ახმარენ სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანები მკაფიო გამოხატულებას პოულობენ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში. სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შედგენილია სახალხო-სამეურნეო გეგმის სრული შესაბამისობით და მიზნად ისახავს მეურნეობის, კულტურის, ხალხის კეთილდღეობის შემდგომ ზრდას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას.

ბიუჯეტით გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის დაფინანსება 192,5 მილიარდი მანეთით, რაც 13,7 მილიარდი მანეთით მეტია, ვიდრე 1952 წელს, და უზრუნველყოფს სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას, სახალხო მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის ამაღლებას, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვების გადიდებას.

განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 129,8 მილიარდი მანეთი, რაც 7 მილიარდი მანეთით მეტია, ვიდრე 1952 წელს.

განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის ასიგნებათა მნიშვნელოვანი გადიდება უზრუნველყოფს სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, ბიბლიოთეკებისა და სხვა კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის შემდგომ გაფართოებას, სამედიცინო-სანიტარულ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას. იზრდება ასიგნებანი საბინაო მშენებლობისათვის, ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობისათვის.

სახალხო მეურნეობისათვის და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათათვის ხარჯების გადიდებასთან ერთად ასიგნებანი თავდაცვის დასაფინანსებლად 1952 წლის ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით მცირდება 3,6 მილიარდი მანეთით. ყოველივე ეს მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი მშვიდობიანი მშენებლობის ბიუჯეტია.

1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ძირითადი წყაროებია, ისე როგორც წარსულ წლებში, შემოსავალი სოციალისტური საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან. ამ შემოსავლის ხვედრითი წონა გასულ წელთან შედარებით მატულობს, ხოლო გადასახადთა, გამოსაღებთა და მოსახლეობისაგან ნებაყოფლობითი შემოსავლის ხვედრითი წონა მნიშვნელოვნად მცირდება. ამასთან ერთიორად და მეტად მცირდება მოსახლეობაში გასავრცელებელი სახელმწიფო სესხებით ბიუჯეტში შემოსული თანხები, მკვეთრად მცირდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხები.

ამხანაგო დეპუტატებო! საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის თებერვალში უკვე განიხილა სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. ამჟამად საბიუჯეტო კომისიამ კვლავ განიხილა სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი, ამასთან გაითვალისწინა მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების შემცირება, სახელმწიფო სესხის თანხის შემცირება, კანონი სსრ კავშირის სამინისტროების გარდაქმნის შესახებ და მთავრობის დამატებითი დავალებანი ფართო მოხმარების საქონლის წარმოების დარგში. კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების მიერ შემოტანილი წინადადებებით მიღებულია და უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია შემოსავლის გადიდება 3.035 მილიონი მანეთით.

გარდა ამისა, კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიას შემოაქვს წინადადება დამატებით გადიდდეს ბიუჯეტის შემოსავალი 907,4 მილიონი მანეთით, აქედან:

— ბრუნვის გადასახადისა 617,4 მილიონი მანეთით, აქედან სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით — 570 მილიონი მანეთით, სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით — 46 მილიონი მანეთით და სსრ კავშირის ელექტროსადგურთა და ელექტრომრეწველობის სამინისტროს ხაზით — 1,4 მილიონი მანეთით, იმის გამო, რომ გამოვლინებულია მასობრივი მოხმარების პროდუქციის რეალიზაციისა და მისი ასორტიმენტის გაუმჯობესების გეგმის გადიდების შესაძლებლობა;

— სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მოგებათა ანარიცხებისა 100 მილიონი მანეთით და სხვა შემოსავლისა 190 მილიონი მანეთით — ანგარიშსწორების დაზუსტებასთან დაკავშირებით.

განხილა რა ცალკეული უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების შუამდგომლობანი დამატებითი ასიგნობების შესახებ, საბიუჯეტო კომისია შესაძლოდ ცნობს გადიდდეს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხარჯები: უკრაინის სს რესპუბლიკაში 20 მილიონი მანეთით, ანგარიშსწორების დაზუსტებასთან დაკავშირებით, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში 13,3 მილიონი მანეთით, აქედან: ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდის კაპიტალური შეკეთებისათვის 10 მილიონი მანეთი და განმრთელობის დაცვის დაწესებულებათა შესანახად 3,3 მილიონი მანეთი და ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში 2 მილიონი მანეთით — ადგილობრივი საბჭოების საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური შეკეთებისათვის.

საბიუჯეტო კომისიას შემოაქვს წინადადება დამტკიცდეს სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი აღნიშნული შესწორებებით და 907,4 მილიონი მანეთი მოხმარდეს შემოსავლის გადამეტებას გასავალზე.

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 1952 წელს და 1953 წლის განვლილ ნახევარში ახალ დიდ წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. 1953 წლის პირველ ნახევარში წარმოების გეგმა მთლიანად მრეწველობაში შესრულებულია 100 პროცენტით. მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10 პროცენტით გადიდდა.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დარგში მიღწეულ წარმატებათა საფუძველზე მთავრობამ 1953 წლის 1 აპრილიდან განახორციელა სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი, საბარათო სისტემის გაუქმების შემდეგ სათვალავით მეექვსე, შემცირება.

მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, აგრეთვე მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარების ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება, ახალი მკაფიო გამოხატულებაა პარტიისა და მთავრობის ზრუნვისა კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის, კოლმეურნე გლეხობისა და მთელი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

1953 წლის პირველ ნახევარში სახალხო მეურნეობისა და კულტურის ზრდა, ისევე როგორც 1951 წლის გეგმისა და 1952 წლის გეგმის შესრულების შედეგები, მოწმობენ, რომ წარმატებით სრულდება ამოცანები, რომლებიც დასახულია პარტიის XIX ყრილობის დირექტივებით სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

1952 წელს წარმატებით შესრულდა აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი. საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა უმრავლესობამ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულა საბიუჯეტო გადასახდელთა გეგმები. ამავე დროს კიდევ არიან ჩამორჩენილი საწარმოები, რომლებიც საკმაოდ არ იბრძვიან რენტაბელობის გადიდებისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისათვის, დიდი დანაკარგები აქვთ და არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს ბიუჯეტის წინაშე. მაგალითად, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ 1952 წელს წარმოების გეგმა საერთოდ შეასრულა, მაგრამ ამასთან საკმაოდ ბევრ შახტსა და ჭრილს არ შეუსრულებია ქვანახშირის ამოღების გეგმა. ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებს გასულ წელს პროდუქციის თვითღირებულება არ შეუმცირებიათ დაწესებული ოდენობით, დაუშვეს მნიშვნელოვანი დანაკარგები უყაირათობის გამო, ამის შედეგად 1952 წელს არ შესრულებულა საბიუჯეტო გადასახდელთა გეგმა. დიდი ნაკლოვანებანი 1953 წლის პირველ ნახევარშიც არ იყო აღმოფხვრილი. ერთი ტონა ქვანახშირის თვითღირებულება 2,4 პროცენტით აღემატებოდა გეგმით გათვალისწინებულს; კომბინატებმა „ვოროშილოვგრადუგოლმა“, „მოლოტოვუგოლმა“ და „სახალინუგოლმა“ 1953 წლის პირველ ნახევარში ვერ შეასრულეს ქვანახშირის ამოღების გეგმა.

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში წუნისაგან დანაკარგები 1952 წელს შეადგენდა 52,5 მილიონ მანეთს, უნაყოფო ხარჯებისაგან დანაკარგები — 45,9 მილიონ მანეთს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე სერიოზულად გააკრიტიკეს სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს მუშაობა, მაგრამ სამინისტროს ჯეროვანი დასკვნები არ გაუკეთებია კრიტიკიდან და 1952 წელსა და 1953 წლის პირველ ნახევარში არ გაუუმჯობესებია საწარმოთა მუშაობა. 1952 წელს სამასალე მერქნის გამოზიდვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 82,5 პროცენტით. ხე-ტყის დამზადების გეგმის შეუსრულებლობის მიზეზია მექანიზმების არადამაკმაყოფილებელ გამოყენება, მუშების დიდი დენადობა, შრომის ცუდი ორგანიზაცია ბევრ სატყეო სამრეწველო მეურნეობაში, წარმოების ნოვატორთა და მოწინავე საწარმოთა გამოცდილების სუსტად გავრცელება. მთელ რიგ სატყეო სამრეწველო მეურნეობებში შექმნილი არ არის ჯეროვანი საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები მუშებისათვის, მაშინ როცა სახელმწიფოს მიერ ამ მიზნებისთვის გამოყოფილ სახსრებს მთლიანად ვერ იყენებენ.

წარმოებას გეგმის, აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალების შეუსრულებლობის და უყაირათობისაგან დანაკარგების შედეგად, სატყეო მრეწველობის წარმოებმა დიდი ზარალით დაამთავრეს 1952 წელი. სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს წარმოების ეკონომიკის საკითხებს. სამინისტროს დღემდე არ განუხილავს მთავარი სამმართველოებისა და ტრესტების 1952 წლის საბუღალტრო ანგარიშება და ბალანსები და არ მიუღია, ამასთან დაკავშირებით, საჭირო ღონისძიებანი მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში რენტაბელობის გადიდებისა და მატერიალური და ფულადი სახსრების ხარჯვაში მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისათვის.

ყოველივე ეს დაბეჯითებით მოითხოვს, რომ სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრომ გააკეთოს საჭირო დასკვნები, გაუმჯობესოს საწარმოებისადმი ხელმძღვანელობა და უზრუნველყოს საწარმოო გეგმისა და თვითღირებულების შემცირების დავალებათა შესრულება.

ჩვენს მრეწველობას, ისე როგორც მეურნეობის სხვა დარგებს, პროდუქციის წარმოების, თვითღირებულების შემცირებისა და დაგროვების გადიდების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების ყველა შესაძლებლობა აქვს. საქმე ახლა ის არის, როგორც ამხ. მალენკოვმა თქვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში XIX ყრილობისადმი, რომ მთლიანად გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი, გადაჭრით აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი მუშაობაში, გამოვავლინოთ გამოუყენებელი რეზერვები წარმოებაში და სახალხო მეურნეობის აღმავლობის მძლავრ წყაროდ გადავაქციოთ ისინი.

საბიუჯეტო კომისია აღნიშნავს, რომ 1952 წელს ბევრ სამშენებლო ორგანიზაციას არ შეუსრულებია კაპიტალური მშენებლობის გეგმა და მშენებლობის ღირებულების შემცირების დავალებანი. ცალკეული სამინისტროები ურიგდებიან ფულადი და მატერიალური რესურსების დაქსაქსვას ბევრ სამშენებლო ობიექტზე, რაც იწვევს მშენებლობის გაჭიანურებას და კაპიტალური ხარჯების ეფექტიანობის შემცირებას.

მაგალითად, სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს ხორცის მრეწველობის მთავარი სამმართველოს სისტემაში 1953 წლის 1 იანვრისათვის დაუმთავრებელი დარჩა 16 მაცივრის მშენებლობა, რომელიც მრავალი წლის წინათ დაიწყო, და ამავე დროს მიმდინარეობს ახალი ობიექტების მშენებლობა, რაც არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ არსებული სახსრები თავმოყრილ იქნას დაუმთავრებელ მშენებლობებზე.

იყო ფაქტები, რომ კვების მრეწველობის ზესალიმატო ობიექტების მშენებლობისა და დაფინანსების გეგმებში შეჰქონდათ ცვლილებები ისე, რომ ამისათვის არ იყო საკმაო საფუძველი. მაგალითად, ქალაქ გორკში ლუდის ქარხანა „ვოლგის“ მშენებლობის გეგმაში ცვლილება შეიტანეს ხუთჯერ, ამასთან 1952 წლის მარტში, ივნისსა და სექტემბერში დაფინანსების გეგმა შეამცირეს 1.130 ათასი მანეთით, ხოლო ნოემბერში იგი გაადიდეს 500 ათასი მანეთით. ვერხნე-დნეპროვსკის სიმინდის სახამებელ-ბადაგის კომბინატის მშენებლობის დაფინანსების წლიური გეგმა ცხრაჯერ შეცვალეს ხან ხარჯების მოცულობის შემცირების, ხან კიდევ მისი გადიდების მხრივ.

ასეთი „დაგეგმვა“ იწვევს მშენებლობის დეზორგანიზაციას და მისი ღირებულების გაძვირებას, ამცირებს მშენებლობათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას სამუშაოთა გეგმების შესრულებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა და წლითიწლობით იზრდება საბინაო მშენებლობა. 1953 წლის პირველ ნახევარში საბინაო მშენებლობის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 7 პროცენტით გადიდდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

მაგრამ საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ ყველგან როდია სამეურნეო ხელმძღვანელების, სამინისტროებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ყურადღების ცენტრში.

1952 წელს საბინაო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ შეასრულა 69 პროცენტით, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ — 70 პროცენტით. 1952 წელს საბინაო მშენებლობის გეგმა არ შესრულებულა საქართველოს სს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში.

ასეთივე მდგომარეობაა 1953 წლის პირველ ნახევარშიც. სსრ კავშირის სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრომ საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის 1953 წლის პირველი ნახევრის გეგმა შეასრულა მხოლოდ 38 პროცენტით, სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტრომ 43 პროცენტით, სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრომ — 49 პროცენტით.

ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაცია ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს. სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „არტემშახტოსტროის“ № 2 სამშენებლო სამმართველომ დონბასში ლენინის სახელობის № 5 შახტის დაბა „პობედას“ საცხოვრებელი სახლები საექსპლოატაციოდ გადასცა ისე, რომ ბევრი რამ მოუთავებელი იყო. კულტურის სახლის შენობა, რომელიც ამ სამშენებლო სამმართველომ საექსპლოატაციოდ გადასცა 1952 წლის აგვისტოში, უკვე დიდ ხარჯებს მოითხოვს შეკეთების სამუშაოთა შესასრულებლად.

მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში არ სრულდება სამედიცინო დაწესებულებებისა და სკოლების მშენებლობის გეგმა. 1952 წელს ეს გეგმა განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად შეასრულეს უზბეკეთის სსრ და უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოებმა.

სამინისტროებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების შესრულებასა და სამუშაოთა ხარისხს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ გრძელვადიან დაბანდებათა ბანკები ჯერ კიდევ სუსტად უწევენ კონტროლს მშენებლობის ღირებულების შემცირებას, სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვას, შინარესურსების მობილიზაციას, ყოველთვის როდი ავლინებენ მშენებლობის გაძვირების ნამდვილ მიზეზებს და საკმაოდ არ იბრძვიან იმისათვის, რომ სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს თავი მოუყარონ საექსპლოატაციოდ გადასაცემ ობიექტებზე.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურად ზრუნავენ მეცნიერების განვითარებისა და გაფურჩქვნისათვის. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ფართო ქსელი. მეცნიერების განვითარებისათვის სახელმწიფო ყოველწლიურად ითვალისწინებს დიდ ასიგნობებს. საბჭოთა მეცნიერებმა გადაწყვიტეს დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ბევრი მეცნიერული პრობლემა.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა სოფლის მეურნეობის მეცნიერებამ, თუმცა იგი ჯერ კიდევ ჩამორჩება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მოთხოვნილებებს. ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ცალკეულ საკითხებზე ახორციელებს მრავალი წლის გამოკვლევებს, რომლებიც, დიდი დროისა და სახსრების დახარჯვის მიუხედავად, ვერ იძლევა პრაქტიკულ შედეგებს. ბევრი წინადადება ინსტიტუტებს შემოაქვთ მაშინ, როცა ისინი უკვე დიდი ხანია დანერგილია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ამიტომ, მაგალითად, 1952 წელს ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სასუქების, აგროტექნიკისა და აგრონომიადგმცოდნეობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისაგან შემოსული 20 წინადადებიდან მიღებულ იქნა მხოლოდ ერთი წინადადება.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ უნდა გაუმჯობესონ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისადმი ხელმძღვანელობა, გაადიდონ მათი როლი სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრაში.

ამხანაგო დეპუტატებო! საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ანგარიში სსრ კავშირის 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ და ანგარიში სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა ამხ. ზვერევმა უკვე მოგახსენთ სსრ კავშირის ამ წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

საბიუჯეტო კომისიას წინადადება შემოაქვს უცვლელად დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშები სსრ კავშირის 1951 და 1952 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ამასთან საბიუჯეტო კომისიას საჭიროდ მიაჩნია მიაპყროს მსუბუქი და კვების მრეწველობის, მშენებლობის, ქვანახშირის მრეწველობისა და სხვა სამინისტროების ყურადღება, რომლებსაც 1952 წელს არ შეუსრულებიათ ვალდებულებანი ბიუჯეტის წინაშე, იმას, რომ საჭიროა 1953 წელს გაუმჯობესონ იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა, რომლებსაც შარშან დიდი დანაკარგები ჰქონდათ უყაირათობის, პროდუქციის თვითღირებულების გადიდებისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტი მარაგის შექმნის შედეგად.

სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება სამეურნეო და საფინანსო ორგანოებისგან მოითხოვს მათი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. საჭიროა, რომ სამინისტროების ხელმძღვანელებმა აამაღლონ ეკონომიური მუშაობის დონე, კონკრეტულად უხელმძღვანელონ თვითეულ საწარმოს, მის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობას.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ უნდა გააძლიეროს მუშაობა მეურნეობის დარგებისა და საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ნაკლოვანებათა გამოვლინებისათვის და მოითხოვოს ამ ნაკლოვანებათა დროზე აღმოფხვრა.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და ადგილობრივი საფინანსო ორგანოები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან ამ მიმართულებით. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ უწევენ კონტროლს მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას, სახალხო მეურნეობაში რეზერვების გამოვლინებას, ჯერ კიდევ ვერ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას ფასების წარმოქმნის, თვითღირებულების, საწარმოებში მასალებისა და საქონლის ზედმეტი და უსარგებლო მარაგის რეალიზაციის, სახალხო მეურნეობაში ინგარიშსწორების გაუმჯობესების საკითხებს.

საფინანსო გეგმების შესრულებისადმი, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისადმი, სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი კონტროლის განხორციელებაში დიდი როლი ეკუთვნის შინასაუწყებო საფინანსო კონტროლს. ამავე დროს, ეს აპარატი მთელ რიგ სამინისტროებში არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ცალკეული ხელმძღვანელები ჯეროვნად ვერ აფასებენ შინასაუწყებო საფინანსო კონტროლის მნიშვნელობას და საკონტროლო აპარატის ხელმძღვანელობას მთლიანად გადააკისრებენ ხოლმე მთავარ ბუხჰალტრებს.

მთელ რიგ შემთხვევებში რევიზიები ჯერ კიდევ ხორციელდება დაბალი დონით, მნიშვნელოვნად ყოვნდება რევიზიების შედეგების მიხედვით გადაწყვეტილებათა მიღება, რაც ამცირებს რევიზიების ეფექტიანობას, მაგალითად, სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს თამბაქოს მრეწველობის მთავარი სამმართველო მთელ წელიწადსა და მეტ ხანს აყოვნებდა ცალკეულ საწარმოთა რევიზიების შედეგების გამო ბრძანებების გამოცემას. სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სამთო-ქიმიური მრეწველობის მთავარ სამმართველოს ბოლო დრომდე არ მიუღია გადაწყვეტილებანი ცალკეულ საწარმოთა რევიზიების შედეგის გამო, რომლებიც ჯერ კიდევ 1952 წლის მეორე და მესამე კვარტალში გაკეთდა.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ საჭიროა ყველა სამინისტრომ გააძლიეროს შინასაუწყებო კონტროლი. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ უნდა გააძლიეროს შინასაუწყებო საფინანსო კონტროლის მუშაობის შემოწმება სამინისტროებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტროსთან ერთად შეიტანოს მთავრობაში წინადადება ამ აპარატის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა ხალხის მიერ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მიღწეული წარმატებანი მოწმობენ, რომ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განუწყვეტელი აღმავლობის პროგრამა, რომელიც პარტიის XIX ყრილობამ დასახა, თანმიმდევრულად და განუხრელად ხორციელდება.

ჩვენი ქვეყნის მიღწევები მთელ მშვიდობისმოყვარე, პროგრესულ კაცობრიობას აღაფრთოვანებს მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის საბრძოლველად.

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის დიდი გამარჯვებაა და მშვიდობასმოყვარე ხალხებს განუმტკიცებს მშვიდობის დიადი საქმის გამარჯვების რწმენას.

სახალხო-სამეურნეო გეგმისა და 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულებით საბჭოთა ადამიანები ახალ დიდ წვლილს შეიტანენ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერების გადიდების საქმეში, მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

დიად, ურღვევ, ძმურ ოჯახად დარაზმული საბჭოთა კავშირის ხალხები, კომუნისტური პარტიის ნაკადი ხელმძღვანელობით მტკიცე რწმენით მიდიან წინ, კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისაკენ. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ძვირფასო ამხანაგებო!

ირანის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტი სახალხო პარტიის ყველა წევრისა და მთელი ირანელი ხალხის სახელით სულით და გულით ულოცავს საბჭოთა კავშირის სახელოვან კომუნისტურ პარტიას მის ორმოცდამეათე წლისთავს.

თავისი არსებობის ორმოცდაათი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ დიდი მეცადინეობისა და ბრძოლის მეოხებით შეძლო განეხორციელებინა კაცობრიობის საუკეთესო სურვილები და ყველაზე მაღალი მისწრაფებანი, განეხორციელებინა სოციალიზმის გამარჯვება, დასდგომოდა კომუნიზმის მშენებლობის გზას და გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცა მსოფლიო კაპიტალიზმის ბატონობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც დააარსა გენიალურმა ლენინმა, მისი ბრძნული ხელმძღვანელობით, ხოლო შემდეგ მისი მოწაფისა და მისი საქმის დიდი განმგრძობის სტალინის და მათ თანამებრძოლთა ხელმძღვანელობით გადაიქცა მძლავრ ძალად, რომელიც წინ სწევს ისტორიას, ჩვენი ეპოქის გონებად, ღირსებად და სინდისად. თავისი არსებობის მთელ მანძილზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იბრძოდა იმპერიალიზმის უღლისაგან ჩაგრული ხალხების განთავისუფლებისათვის და ბრძოლის მაგალითს უჩვენებდა ამ ქვეყნების ხალხებს. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, რომელიც მოპოვებულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ბოლო მოუღო უშფოთველი ექსპლოატაციის ერას და გააშუქა ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების გზა.

ირანის სახალხო პარტიისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი უმაგალითო სიმტკიცე ბრძოლაში, მისი ერთგულება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშისადმი, მისი უსაზღვრო რწმენა მშრომელი მასების შემოქმედებითი ძალებისადმი მუდამ წარმოადგენს მაგალითს.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, იხელმძღვანელებს რა თავისი გამოცდილებით და ივლის ლენინისა და სტალინის იდეებით განათებული გზით, კომუნიზმამდე მიიყვანს საბჭოთა ხალხს.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგანან საბჭოთა კავშირი და მისი სახელოვანი კომუნისტური პარტია, გაიმარჯვებს და მთელ მსოფლიოში დამყარდება მტკიცე სამართლიანი მშვიდობა.

გაუმარჯოს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის მოძღვრებას!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ბრძენ და ნაცად ხელმძღვანელობას!

ირანის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

6 აგვისტოს კრემლში

ეროვნებათა საბჭოში

6 აგვისტოს კრემლის დიდ სასახლეში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია გაგრძელდება მუშაობას.

11 საათზე. იწყება ეროვნებათა საბჭოს სხდომა. თავმჯდომარის მაგიდასთან არიან ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ჟ. შაიახმეტოვი**, თავმჯდომარის მოადგილეები დეპუტატები **მ. ტ. იაკუბოვი, ვ. ტ. ლაცისი, მ. ვ. ზიმიანინი, თ. მ. მათიაშვილი.**

დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან მთავრობის ლოჟებში ამხანაგებს **გ. მ. მალენკოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, კ. ე. ვოროშილოვს, ნ. ა. ბულგანინს, ა. ი. მიკოიანს** გამოჩენას.

თანამოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა პალატის სამუშაო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **ი. ს. ხოხლოვს.** იგი ამბობს, რომ სამუშაო კომისიამ ყოველმხრივ განიხილა სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და წინადადება შემოაქვს დამტკიცდეს იგი სამუშაო კომისიის მიერ შეტანილი შესწორებებით.

სამუშაო კომისიის თანამოხსენების შემდეგ იწყება სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა. დეპუტატები აღნიშნავენ, რომ ახალი ბიუჯეტი საქართა სახსრებით უზრუნველყოფს დიდი მოცულობის კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებას, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი განვითარების დაფინანსებას.

პირველი სიტყვას ამბობს დეპუტატი **ვ. ტ. ლაცისი** (ლატვიის სსრ).

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სესია, — ამბობს იგი, — მიმდინარეობს პარტიის, მთავრობისა და ხალხის დიადი ერთიანობის მძლავრი დემონსტრაციის ვითარებაში. მოძმე ხალხთა ეს მონოლითური ერთიანობა და მეგობრობა ქმნის მტკიცე საფუძველს, რომლის დროსაც ჩვენთვის საშიში არ არიან არც შინაური, არც გარეშე მტრები. ჩვენი ქვეყნის ხალხები ერთიანი და მტკიცედ დარაზმული არიან კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო. ისინი მხურვალედ იწონებენ და აქტიურად უჭერენ მხარს პარტიის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში ლატვიელი ხალხი წარმატებით იბრძვის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. 1946 წელთან შედარებით წელს ასიგნობანი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის იზრდება 34 პროცენტით, ხოლო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები — თითქმის ერთიორად.

დასასრულ ამბობ. ლაცისს წინადადება შეაქვს დამტკიცდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი საბიუჯეტო კომისიის შესწორებებით.

დეპუტატი **ნ. ა. მიხაილოვი** ამბობს, რომ სსრ კავშირის ახალი სახელმწიფო ბიუჯეტი ასახავს საბჭოთა ხალხის ინტერესებს და მიზნად ისახავს უზრუნველყოს სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცება, ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების ზრდა, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ჯანსაღი აღმავლობა.

ამხ. მიხაილოვი დამსწრეთ მოუთხრობს ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საწარმოებში წარმოების განუწყვეტელ ზრდაზე, შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე, თვითღირებულების შემცირებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე. იგი ახასიათებს დედაქალაქის საქალაქო და საბინაო მშენებლობის გაჭრნებას. წარმატებით სრულდება მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა. ორი წლის მანძილზე აშენებული და საქაპიტალოატაციოდ გადაცემულია ნახევარ მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებათა ბევრი შენობა. მიმდინარე წელს მოსკოვში კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილია 5 მილიარდ მანეთზე მეტი.

ამხ. მიხაილოვმა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა ოლქის სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს.

დეპუტატი **შ. რაშიდოვი** (უზბეკეთის სსრ) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი ემყარება მომძე ხალხთა ეკონომიკის ერთიანობას, რომლებიც აქტიურად აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას. პარტიის მიერ შემუშავებულმა ლენინურ-სტალინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა იმ უდიდეს გარდაქმნებში, რომლებიც შედარებით მოკლე დროში მოხდა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და უზბეკი ხალხის კულტურაში. რესპუბლიკაში შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები: ქვანახშირის, ნავთობის, ფიმიური, მეტალურგიული, მანქანათმშენებლობისა და სხვა. სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მებამბეობის განვითარებაში მოპოვებულმა წარმატებებმა გამოიწვია ის, რომ უზბეკეთის თითქმის ყველა კოლმეურნეობა მილიონერი გახდა.

ამხ. რაშიდოვი იწონებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტს. ახალი კანონი, ამბობს იგი, გამოიწვევს სოფლის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას და სერიოზული ღონისძიება იქნება კოლმეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცებისა და ჩვენი ქვეყნის სასურსათო რესურსების გადიდების საქმეში.

დეპუტატი **ნ. ე. ავხიმოვიჩი** (ბელორუსიის სსრ) ლაპარაკობს იმ წარმატებებზე, რომლებიც მოპოვებულია უკანასკნელი წლების მანძილზე ბელორუსიის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის დარგში. ბელორუსიაში სამრეწველო წარმოების დონე უკვე ერთნახევარჯერ აღემატება ომამდელს. წლითიწლობით იზრდება სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვა. დიდდება კოლმეურნეობების საზოგადოებრივი სიმდიდრე, უმჯობესდება კოლმეურნეთა ეკონომიური მდგომარეობა.

— ჩვენი მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში განხორციელებულმა ღონისძიებებმა, — ამბობს დეპუტატი ავხიმოვიჩი, — დაანახვა მთელ მსოფლიოს, რომ ჩვენი ქვეყნის მმართველობა იმყოფება ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ხელმძღვანელი ბირთვის სიმედო ხელში და მტრებისა და მათი აგენტურის ვერავითარი ხრიკები ვერ შეარყევს ჩვენი ხალხის ძლიერებას, ერთიანობასა და დარაზმულობას.

დეპუტატი **გ. შ. კარეკუბაევი** (ყაზახეთის სსრ) აღნიშნავს სოციალისტური ერების ძმური მეგობრობის უდიდეს მნიშვნელობას, ერებისა, რომელთა ურთიერთთანამშრომლობა უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განუწყვეტელ აღმავლობას, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტისა და გავლენის ზრდას.

დეპუტატს მოჰყავს ციფრები და ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ ყაზახეთის მშრომელთა მიღწევებს სახალხო მეურნეობის განვითარებაში. იგი აკრიტიკებს მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს და მშენებლობის სამინისტროს, რომლებიც ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მეტალურგიული მრეწველობის განვითარებას და რკინის მადნის საბადოების ათვისებას ყაზახეთში. სსრ კავშირის ელექტრონულად გურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტრომ შეასუსტა ყურადღება ყაზახეთში ახალი ელექტროსადგურების მშენებლობისა და მოძმედი ელექტროსადგურების გაფართოებისადმი.

ამხ. კარეკუბაევი აცხადებს, რომ ყაზახეთის სსრ მშრომელები მთელ ძალღონეს მოახმარენ სსრ კავშირის 1953 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფას.

ცნობილმა უკრაინელმა მწერალმა, დეპუტატმა **პ. გ. ტიჩინამ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკრაინელი ხალხი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის ცხოველმყოფელ ძალაში. იგი ლაპარაკობს უკრაინელი ხალხის მრავალი საუკუნის მეგობრობაზე დიდ რუს ხალხთან, რომლის გარეშე უკრაინა ვერ შეძლებდა დაეცვა თავი მრავალ უცხოელ დამპყრობთაგან.

დეპუტატი ტიჩინა ლაპარაკობს კულტურული მშენებლობის საკითხებზე. ახლა უკრაინაში 30 ათასამდე ზოგადსაგანმანათლებელო სკოლა, რომლებშიც სწავლობს 6 მილიონზე მეტი ბავშვი. საბჭოთა უკრაინასთან გაერთიანების შემდეგ იმიერკარპატის ოლქში საშუალო სკოლების რაოდენობა გადიდდა ათჯერ, ხოლო შვიდწლედებისა — თვრამეტჯერ. ამჟამად უკრაინის მეცნიერებათა აკადემიას აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო დაწესებულება.

დეპუტატი **მ. ზ. აზიზოვი** ლაპარაკობს, რომ თათრეთის სსრ მშრომელები ყველა ხალხთან ერთად დაუღალავად იბრძვიან მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ფრონტზე ახალი გამარჯვებებისათვის. 1952 წელს რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1940 წელთან შედარებით 318 პროცენტით გადიდდა, კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ ოთხჯერ და უფრო მეტად გადააჭარბა ომამდელ დონეს. თათრეთში წარმატებით ვითარდება ნავთობის მრეწველობა, უმჯობესდება საბინაო-კომუნალური მეურნეობა, მშრომელთა სამედიცინო მომსახურება, იზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი.

ამხ. აზიზოვს შეაქვს მთელი რიგი წინადადებანი რესპუბლიკის რაიონული მრეწველობის დაფინანსების საკითხებზე.

სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მინისტრმა **ა. ნ. კოსიგინმა.** მან თქვა, რომ 1953 წლის ბიუჯეტი გამოხატავს საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკას, პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას მშრომელთა ცხოვრების დონის განუხრელი აღმავლობისათვის.

დეპუტატ კოსიგინს მოჰყავს ბევრი მაგალითი, რომლებიც მოწმობენ მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების ახალ ზრდას. მთავრობის მითითებით წელს სამინისტროს საწარმოები გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ მოსახლეობისათვის დაახლოებით 10 მილიარდ მანეთის საქონელს. საწარმოები აბრეშუმის ქსოვილებს გამოუშვებენ ექვსჯერ მეტს, ვიდრე 1940 წელს. გადიდდება შალის ქსოვილების წარმოება, კერძოდ მაღალხარისხოვანი საოსტიუმე და სატალტიო ქსოვილებისა.

ამხ. კოსიგინი ლაპარაკობს კვების მრეწველობის განვითარებაზე. წელს მშრომელები ერთიორად მეტ ერბო-კარაქს მიიღებენ, ვიდრე 1940 წელს, ხოლო შაქარსა და საკონდიტრო ნაწარმს — 1,7-ჯერ მეტს. შენდება კვების მრეწველობის 568 საწარმო და ხორციელდება 215 საწარმოს რეკონსტრუქცია.

დეპუტატი **გ. ი. რუდი** (მოლდავეთის სსრ) საბჭოთა მოლდავეთის მაგალითით ცხადყოფს კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას. რესპუბლიკაში სწრაფი ტემპით ვითარდება მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ხალხის კულტურა. განსაკუთრებით დიდად განვითარდა კვების მრეწველობა, რომელსაც ნოდელეულის უდიდესი ბაზა აქვს: მოლდავეთში 160 ათასი ჰექტარი ბალები და ვენახებია.

დეპუტატი რუდი აღნიშნავს, რომ მოლდავეთის სს რესპუბლიკაში კვების ახალი საწარმოების მშენებლობა ხშირად ფერხდება იმის გამო, რომ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრო თავის დროზე ვერ უზრუნველყოფს ახალშენებლობებს ტექნიკური დოკუმენტაციით.

დეპუტატი **ფ. ზ. ზაგაფურანოვი** (ბაშკირეთის სსსრ) ლაპარაკობს რესპუბლიკაში ნავთობის მრეწველობის სწრაფ განვითარებაზე. ამასთან დაკავშირებით იგი აყენებს საკითხს, რომ საჭიროა მიღებულ იქნას ზომები მენავთობეთათვის საბინაო-კულტურული და საყოფაცხოვრებო მშენებლობის გასაფართოებლად.

დეპუტატი ზაგაფურანოვი მხარს უჭერს სესიის განსახილველად წარდგენილ სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს.

დეპუტატ ზაგაფურანოვის გამოსვლის შემდეგ ეროვნებათა საბჭოს სხდომა მთავრდება. შემდეგი სხდომა გაიმართა 7 აგვისტოს საღამოს 6 საათზე. (საკდესი).

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲭᲝᲨᲘ

6 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა კავშირის საბჭოს სხდომა. თავმჯდომარის მაგიდას უსხედან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **მ. ა. იასნოვი,** თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები **ა. ი. კირიჩენკო, ტ. მ. ზუეევა, ა. ი. სნეჭკუსი, ა. ი. ნიაზოვი.**

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, მ. ზ. საბაროვი, მ. გ. პერვუხინი,** რომლებსაც დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

თავმჯდომარე თანამოხსენებისათვის სიტყვას აძლევს პალატის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **ლ. რ. კორნიეცს.** მას შეაქვს წინადადება დამტკიცდეს სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საბიუჯეტო კომისიის მიერ შეტანილი შესწორებებით.

შემდეგ კავშირის საბჭო იწყებს სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვას.

გამოდის დეპუტატი **ა. მ. პუზანოვი** (რსფსრ) იგი ამბობს, რომ ჩვენმა ხალხმა, რომელიც კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს ასრულებს, ახალ წარმატებებს მიაღწია სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, თავისი დიადი სამშობლოს — მთელი მსოფლიოს მშვიდობის ბურჯის ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

ხალხის მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის მაფიონ გამოხატულებაა, განაცხადა მან, სასურსათო და სამრეწველო საქონლის საცალო ფასების ახალი შემცირება, რაც მიმდინარე წელს განხორციელდა, აგრეთვე მოსახლეობისაგან სახსრების შემოსვლის შემცირება და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მნიშვნელოვანი შემცირება, რაც გათვალისწინებულია ბიუჯეტის პროექტით. მარტო რუსეთის ფედერაციიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო თანხა მომდინარე წელს მცირდება 2.450 მილიონი მანეთით. ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიება ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას და ჩვენი ქვეყნის სასურსათო და ნედლეული რესურსების გადიდებას.

ლაპარაკობს რა რუსეთის ფედერაციის ბიუჯეტზე, დეპუტატი პუზანოვი აღნიშნავს, რომ ყველა ასიგნობათა 80-მდე პროცენტი ხმარდება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებას და საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარებას. დიდი სახსრებია გათვალისწინებული რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის, რომელიც ფართო მოხმარების საქონელს ამზადებს.

ამხ. პუზანოვს წინადადება შეაქვს დამტკიცდეს სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და ანგარიში 1951 და 1952 წლების ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

დეპუტატი **ნ. ტ. კალჩენკო** (უკრაინის სსრ) აღნიშნავს, რომ ბიუჯეტის პროექტი მკაფიოდ ასახავს საბჭოთა სახელმწიფოს უდიდეს წარმატებებს. მას მოჰყავს ფაქტები და ციფრები, რომლებიც ცხადყოფენ მიღწევებს საბჭოთა უკრაინის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გადიდდა თუჯისა და ფოლადის გამოდნობა, რკინისა და მარგანეცის მადნის, ქვანახშირის მოპოვება, ელექტროენერგიის, ტრაქტორების, სალეწი მანქანების, ჭარხლის კომბაინების, მასობრივი მოხმარების საგნების წარმოება. წელს კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა წარმატებით შეასრულეს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. გადიდდა საშემოდგომო ხორბლის, შაქრის ჭარხლის, სამოჭკოე სელის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების ნათესი ფართობი. ამაღლდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე.

ამხ. კალჩენკოს შეაქვს მთელი რიგი წინადადებანი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გასაუმჯობესებლად და მათთვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების გასაფართოებლად.

დეპუტატი **პ. ფ. ლადანოვ** აღნიშნავს, რომ ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის მშრომელნი წარმატებით ახორციელებენ ხუთწლიანი გეგმის შესრულების ამოცანებს, რომლებიც პარტიის XIX ყრილობამ დასახა. ქალაქისა და ოლქის მრეწველობამ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა შეასრულა 102,3 პროცენტით. ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობა ახლა უშვებს 3.500-ზე მეტი სახელწოდების ნაწარმს. საქონლის ასორტიმენტი ფართოვდება, უმჯობესდება მისი ხარისხი.

სოციალიზმის ქვეყნის ბიუჯეტი, ამბობს ამხ. ლადანოვი, მოწმობს საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების განუხრელ აღმავლობას, საწარმოო ძალების განვითარების მაღალ ტემპს, მეურნეობის სოციალისტური სისტემის უდიდეს უპირატესობას კაპიტალისტური სისტემის წინაშე.

დეპუტატი **კ. ტ. მაზუროვი** (ბელორუსიის სსრ) ამბობს, რომ მაშინ, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში წლიდან წლამდე იზრდება სამხედრო ბიუჯეტები, უარესდება მშრომელთა ისედაც მეთხოვრული მდგომარეობა, ჩვენს ქვეყანაში სახალხო სახსრები ხმარდება მშვიდობიანი ეკონომიკის განვითარებას, საწარმოო ძალების შემდგომ აღმავლობას, საბჭოთა ადამიანების მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

თანმიმდევრულად ახორციელებს რა ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს მოკავშირე რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის. ამის მეოხებით ბელორუსმა ხალხმა მოკლე ვადაში აღადგინა და წარმატებით ავითარებს რესპუბლიკის მეურნეობას. სამრეწველო წარმოების მოცულობამ გასული წლის დამლევს ერთნახევარჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს. სწრაფად ვითარდება სოფლის მეურნეობა.

ამასთან ერთად დეპუტატმა აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაობაში. კოლმეურნეობათა ნაწილი ჯერ კიდევ მცირე მოსავალს იღებს, არ სრულდება საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმები.

დეპუტატი **მ. ა. გედვილასი** (ლიტვის სსრ) ლაპარაკობს ლიტვის მშრომელთა წარმატებებზე. რესპუბლიკის სამრეწველო წარმოება ერთიანად და მეტად გაიზარდა ომამდელ 1940 წელთან შედარებით. საერთო პროდუქციის მოცულობა მთელ მრეწველობაში 1952 წელს გასულ წელთან შედარებით 18 პროცენტით გადიდდა. მნიშვნელოვნად გადიდდა ელექტროენერგიის, ღიობნსაჭრელი ჩარხების, ორთქლის ტურბინების, ელექტრომოტორების, ველოსიპედების, საშენი მასალის, ქაღალდის, აბეჯრის, ქსოვილების წარმოება. ყოველივე ეს აღნიშნავს ამხ. გედვილასი, მეტწილად ისეთი პროდუქციაა, რომელიც ბურჟუაზიულ ლიტვაში არ მზადდებოდა.

ამხ. გედვილასი მთელ რიგ კრიტიკულ შენიშვნებს აკეთებს სსრ კავშირის ზოგიერთი სამინისტროს — ელექტროსადგურთა და ელექტრომრეწველობის, კავშირგაბმულობის, მშენებლობის სამინისტროების მისამართით იმისათვის, რომ ისინი საკმაო დახმარებას არ უწევენ რესპუბლიკას მთელი რიგი სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაჭრაში.

— საბჭოთა ლიტვის მშრომელნი, — ამბობს დეპუტატი, — მთელ ძალღონეს მოახმარენ პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებას, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომ განმტკიცებას, მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიადი ანდერძის განხორციელებას.

სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, ამბობს სსრ კავშირის კულტურის მინისტრი, დეპუტატი **პ. კ. პონომარენკო,** ითვალისწინებს 129,8 მილიარდი მანეთის გაღებას სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათათვის — 7 მილიარდი მანეთით მეტს, ვიდრე გასულ წელს.

იგი აღნიშნავს, რომ ასეთი ასიგნობები შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში. ეს ასიგნობანი ასახავენ საბჭოთა კულტურის განვითარების პრინციპულ თავისებურებას, რაც იმით გამოიხატება, რომ სოციალისტურ სახელმწიფოში უზრუნველყოფილია მთელი საზოგადოების კულტურული აღმავლობა. წელს შემდგომ განვითარდება სახალხო განათლება. მოსწავლეთა რიცხვი დაწყებითს, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში გაიზრდება 900 ათასი კაცით, ხოლო იმათი რიცხვი, ვინც საშუალო სკოლას ამთავრებს, 1950 წელთან შედარებით ერთიორად გადიდდება.

სახალხო განათლების განვითარებაში მიღწეულ უდიდეს წარმატებებს მოჰყვა მუშათა კლასისა და გლეხობის კულტურული დონის ისტორიაში უმაგალითო ამაღლება. მაგალითად, ქვანახშირის მრეწველობაში მუშების ნახევარს აქვს საშუალო განათლება ან დამთავრებული აქვს საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები და სახელოსნო სასწავლებლები. სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხანაში მუშების 70 პროცენტს მიღებული აქვს საშუალო განათლება.

ამხ. პონომარენკო ლაპარაკობს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დარგში და საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში გადაუჭრელ ამოცანებზე. იგი ამბობს, რომ დიდ ნაკლოვანებებს ხელოვნებაში, რომლებიც აღნიშნული იყო მთავრობის მთელ რიგ გადაწყვეტილებებში და პარტიის XIX ყრილობაზე, ჯერ კიდევ ვხვდებით. საჭიროა დიდი მუშაობა მათი აღმოფხვრისათვის.

სოციალისტურ მშენებლობაში ყაზახი ხალხის მიღწევებზე ლაპარაკა დეპუტატმა **ე. ბ ტაიბეკოვმა.** ყაზახეთის ტერიტორია დაფარულია დიდი, პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვილი ქარხნებისა და ფაბრიკების, შახტებისა და მაღაროების, ელექტროსადგურებისა და ნავთობის კოშკურების, რკინგზის კვანძებისა და სამრეწველო მშენებლობათა ხშირი ქსელით. პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა სულ უფრო ნაყოფიერი ხდება. ათასობით დაწყებით, შვიდწლიან და საშუალო სკოლასთან ერთად არის 29 უმაღლესი სასწავლებელი, ასამდე სხვადასხვა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, რომლებიც მეცნიერების ყველა დარგს წარმოადგენენ, სამკურნალო და კულტურული დაწესებულებების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების ფართო ქსელი.

ამხ. ტაიბეკოვი ამბობს, რომ რესპუბლიკის ყველა წარმატების მთავარი პირობაა სსრ კავშირის ხალხთა ბეგობრობა, დიდი რუსი ხალხის უდიდესი და მუდმივი დახმარება. დეპუტატი მხარს უჭერს წინადადებას სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

თავისი დიადი სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობით იყო გამსჭვალული **დეპუტატ ტ. ი. ანტროპოვას** (კალინინის ოლქი) სიტყვა საბჭოთა ადამიანები, ამბობს იგი, ცდილობენ იმუშაონ უკეთ, უფრო ნაყოფიერად, რადგან ხედავენ, რომ მათი შრომა სოციალისტური საზოგადოების საკეთილდღეოდ, შრომა თავისთვის შესანიშნავ შედეგებს იძლევა.

იგი ლაპარაკობს ოლქის მეურნეობის განვითარებაზე, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელ ამაღლებაზე. ამას თვალნათლივ მოწმობს ოლქის ბიუჯეტის ზრდა, რომელიც ომისშემდგომ წლებში თითქმის 60 პროცენტით გადიდდა. განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები უკანასკნელ წლებში ერთიორად გადიდდა და მთელი ბიუჯეტის 78 პროცენტს შეადგენს.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვან ნაწილს ამხ. ანტროპოვა უძღვნის ოლქის გადაუდებელ სამეურნეო საჭიროებებს.

სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა **დეპუტატი ვ. მ. ბაქრაძე** (საქართველოს სსრ), რომელმაც ილაპარაკა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაზე. გადაჭარბებით შეასრულა რა სამრეწველო პროდუქციის წარმოების ნახევარი წლის გეგმა, რესპუბლიკამ წელს ჩვენს ქვეყანას მისცა დიდძალი ზეგეგმითი მარგანეცის მადანი, შიფერი, ნავთობი, ცემენტი, ქსოვილები, ერბო-კარაქი და სხვ. შარშანდელთან შედარებით მატულობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი. ამხ. ბაქრაძე საკავშირო სამინისტროების წინაშე აყენებს მთელ რიგ პრაქტიკულ საკითხებს საქართველოს სს რესპუბლიკისათვის ზოგიერთი სამეურნეო ამოცანის გადაჭრაში დახმარების გაწევის შესახებ.

შემდეგ დეპუტატი ბაქრაძე ლაპარაკობს ქართველი ხალხის უძველეს ურღვევ მეგობრობაზე დიდ რუს ხალხთან. იგი აცხადებს, რომ ვერავითარი ძალა ვერ შეარყევს საბჭოთა ხალხების ერთიანობას.

კამათში გამოსულმა დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი, წარმოდგენილი მთავრობის მიერ, ილაპარაკეს ახალ სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე, როგორც უმნიშვნელოვანეს ღონისძიებაზე, რომელსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ. კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის და რომელიც უზრუნველყოფს კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას. საბჭოთა კავშირის ხალხთა წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი ძალღონე მოახმარონ იმას, რომ განახორციელონ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

კავშირის საბჭოს შემდეგი სხდომა გაიხსნა 7 აგვისტოს დილის 11 საათზე. (საკდესი).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲝᲠᲘ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

გუშინ, 7 აგვისტოს, თბილისში „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული შეხვედრა ფეხბურთში. საკავშირო კატეგორიის მსაჯის ე. სარის სასტვენის ხმაზე მოედანზე გამოვიდნენ მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები. მოედანზე თვიდანვე ტემპიანი, გაშლილი და კომბინაციური ბრძოლა გაჩაღდა. ჯერ ორი წუთი არც კი იყო გასული, რომ მოწინააღმდეგეთა კარის წინ რამდენიმეჯერ შეიქმნა კრიტიკული მომენტები. მოსკოვის „დინამოს“ თავდამსხმელთა ცენტრალური სამეულის ეერიშებმა საჯარიმო მოედნის ცენტრში მიზანს ვერ მიაღწია — ვ. ელოშვილმა, დ. რუსაძემ და ნ. გაგნიძემ ჩაკეტეს მოწინააღმდეგენი. მაშინ სტუმრებმა სხვა, უფრო სრულყოფილ ხერხს — მოთამამეთა ადგილების შეცვლას მიმართეს, მაგრამ არც ამან მიცა მათ სასურველი შედეგი.

თბილისელთა შეწყობილმა თამაშმა, ადგილების შერჩევამ და მოულოდნელმა დარტყმებმა შეარყია სტუმრების დამცველთა რიგები, მეკარე ლ. იაშინმა არაერთხელ იხსნა კარი აშკარა გოლისაგან.

ნახევარმა საათმა უშედეგოდ განვლო. 33-ე წუთზე ოღოობერიძე და კალოევი მოწინააღმდეგეთა საჯარიმო მოედნზე მარჯვენა ფრთიდან შეიჭრნენ. როცა მოსკოვის დინამოელთა ყურადღება აქ შექმნილმა მდგომარეობამ მიიპყრო ოღოობერიძემ ბურთი მიაწოდა მარცხენა ფრთაზე შერჩეულ ადგილზე მდგარ კოტრიკაძეს. ახალგაზრდა ფეხბურთელი არ დაიბნა, დარტყმა ძლიერი და ზუსტი აღმოჩნდა, მეკარე ლ. იაშინის ნახტომმა მიზანს ვერ მიაღწია, ბურთი კარის მარცხენა კუთხეში აღმოჩნდა.

თბილისელებმა პირველი ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ დამთავრეს ანგარიშით 1 : 0.

შეჯიბრების მეორე ნახევარი უფრო შედეგიანი აღმოჩნდა. თბილისელთა უპირატესობა აშკარა გახდა. განუწყვეტელი ეერიშების შემდეგ მე-9 წუთზე ა. ოღოობერიძემ ანგარიში 2 : 0-მდე აიყვანა, ხოლო 5 წუთის შემდეგ ვ. რიეკინმა საპასუხო ბურთი გაიტანა თბილისის დინამოელთა კარში. 28-ე წუთზე **ა. ჭკუასელის** მიერ დარტყმული ბურთი ბადეში აღმოჩნდა, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ კ. ბესკოვმა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით მეორე ბურთი გაიტანა თბილისელთა კარში. ამრიგად, ეს სინტერესო ასპარეზობა თბილისის დინამოელებმა მოიგეს ანგარიშით 3 : 2.

თბილისელებმა ამ შეჯიბრებაში გამოამჟღავნეს საუკეთესო ფიზიკური და ტექნიკური მომზადება, ცხადყვეს თავიანთა უპირატესობა ტაქტიკური თამაშის მხრივაც.

ვ. გაბელია.

• • •

„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ) — „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ (ᲕᲘᲚᲜᲘ